განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების ადმინისტრირება

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 08.10.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი 27.10.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	განათლების ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩიკვაშვილი, ქართულ-ამერიკული სკოლა "პროგრესი",საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის პირობით აკრედიტებული. პროგრამა შექმნილია დაწესებულების ადმინისტრაციული ერთეულების აქტიური ჩართულობით.

პროგრამის შინაარსი ფარავას განათლების სისტემის ოთხ სფეროს - ზოგადი, პროფესიული და უმაღლეს განათლების ადმინისტრირების საკითხებს.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომლის ათვისებაც ხდება 4 სემესტრის განმავლობაში.

პროგრამა მოიცავს პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტებს. პროფესიულ პრაქტიკა ხორციელდება ოთხი ტიპის ორგანიზაციაში - ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი.

კვლევის კომპონენტი ხორციელდება მეორე სემესტრიდან, რომელიც იწყება კვლევის მეთოდების შესახებ შესავალი სასწავლო კურსით. მესამე სემესტრში სტუდენტი განათლების კვლევების მიმართულებით ცოდნას იღრმავებს კურსის "კვლევის სტატსტიკური მონაცემები" ფარგლებში.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და მისი დაცვა დაგეგმილია პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-4 სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სტუდენტი აჯამებს პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნასა და კვლევით უნარებს. სამაგისტრო ნაშრომისთვის დათმობილია ერთი სემესტრი, რომლის მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს.

პროგრამისთვის განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით.

პროგრამის შემუშავებასა და მის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური, შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი.

დაწესებულებას გაეგზავნა წინამდებარე დასკვნის პროექტი, რომლის საფუძველზეც მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პასუხი. დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და გამოხატავს მზაობას მათ შესასრულებად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების #987546 თანახმად, 2021 წლის 8 ოქტომებრს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრე-დი-ტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი სა-გან-მა-ნათ-ლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფ-მა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცი-ლე-ბე-ლი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომ-პო-ნენ-ტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა

უნივერ-სი-ტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე ფაკულტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქ-ტუ-რის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**

1. პროგრამისთვის განისაზღვროს მკაფიოდ გაზომვადი მიზნები.
2. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის;
3. რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, რაოდენობრივად შემცირდება. მკაფიოდ გაზომვადი სწავლის შედეგების შემუშავება.
4. სასწავლო კურსების საკონტაქტო / არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა მოხდეს კურსის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე;
5. პროგრამა გამდიდრდეს ისეთი თემატიკით, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი განათლებაში ან/და ცვლილებების მენეჯმენტი ან/და ანტიკრიზისული მართვა, ინოვაციური მენეჯმენტი ან/და რისკ-მენეჯმენტი, აკადემიური წერა.
6. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. დაემატოს კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები.
7. პროგრამის რეაკრედიტაციის ეტაპზე განხორციელდეს კვლევები, რომელიც დაადგენს შრომის ბაზრის უახლეს ტენდენციებს და გამოკვეთს პროგრამის შემუშავების საჭიროებას, სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია, გააიხედოს კურსის ფარგელბში შეთავაზებული ლიტერატურის რაოდენობა და მოცულობა. თითოეული კურსისთვის სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა განისაზღვროს კურსის მოცულობის გათვალისწინებით.
2. სასურველია, შემუშავდეს პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მექნიზმებს.
3. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი.
4. სასურველია დაწესებულბამ შეიმუშაოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.

5. სასურველია განხორციელდეს პროგრამის კოლეგიალური შეფასება ადგილობრივი და საზღვარგარეთის ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალისა თუ ექსპერტების მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ საგანმანთლებლო ბაზარზე.
6. სასურველი, პროგრამის მოდიფიცირებისა და განახლების ყველა ეტაპზე, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კულსდამთავრებულების ჩართულობა და მათი შეხედულებების გაზიარება, არა მხოლოდ გამოკითხვებში მონაწილეობით, არამედ პროგრამის სამუშაო პროცესში უშუალო ჩართულობით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - „განათლების ადმინისტრირების მაგისტრი“. კვალიფიკაციის კოდია 0413. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისწრაფვის მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. დაწესებულების მისიასთან კავშირების მოტივით არის ნაკარნახევი მიზანში გაწერილი შემდეგი დებულება - “საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პიროვნება.” პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. პროგრამის მიზნები, როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული და გარდა ამისა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროსაც აღინიშნა, ეფუძნება აღნიშნული გამოკითხვის შედეგებს. სწორედ ზემოთ აღნიშნული კვლევებით არის ნაკარნახევი სასწავლო კურსის “პროექტების მართვა” შეთავაზება სავალდებულო არჩვითი ბლოკის ფარგლებში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული გამოკითხვების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია და დასმული კითხვები ეხმიანება ძირითადად ზოგად კომპეტენციებს - კომუნიკაციის, პრეზენტაციის, ადაპტაციის, გუნდური მუშაობის კომპეტენციებს. დეტალური აღწერა აღნიშნული კვლევის შესახებ იხილეთ 5.1 სტანდარტში

პროგრამა არის პირობით აკრედიტებული. შესაბამისად აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი ვერსია არ არის განთავსებული დაწესებულის ვებგვერდზე. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის სრულად აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების შემთხვევაში, განთავსებდა ვერგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. ვებგვერდზე განთავასებულია ამჟამად მოქმედი პროგრამა დაინტერესებული მხარეებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციით.

აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის მიზნები რიგ შემთხვევებში რთულად გაზომვადია. მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს „მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების მატარებელი პიროვნება“. პროგრამის ფარგლებში წამორდგენილი კურსების სილაბუსესბის შესწავლისას ვერ მოიძებნა შეფასების ისეთი კომპონენტი, რომლის ფარლებშიც შეჯამდება და შეფასდება აღნიშნული კომპეტენცია.

ინტერვიუებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის განმახრციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. მხარეების ჩართულობის ამსახველი დოკუემენტები - ბრძანება სამშაო ჯგუფების დამტკიცების შესახებ, არ ასახავს პოტენციური დამსაქმებლების / პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობას. აღნიშნული დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში შედიან მხოლოდ დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის განმახრციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული მიგნება დაადასტურა ასევე ზემოთ აღნიშნულ მხარეებთან ინტერვიუებმა. თითოეული ჩართული მხარე ავლენდა ცოდნას პროგრამის შესახებ, თუმცა აღნიშნული ცოდნა ეფუძნებოდა ძირითადად დაწესებულების მიერ დაინტერესებული მხარეებისთვის უკვე შემუშავებული პროგრამის გაზიარების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი სამუშაო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფაც. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა სამუშაო პროცესში ჩართულობა არ იკვეთება, მომზადებული პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის ფლობა აღნიშნული მხარეების მიერ მიანიშნებს, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლეგლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის მისია;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამისთვის განისაზღვროს მკაფიოდ გაზომვადი მიზნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ღირებულებებსა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.როგორც ინტერვიუებისა და მტკიცებულებად წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტებიდან დგინდება, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ბაზრის კვლევის, გარე შეფასებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით დგინდება, რომ პროგრამის შემუშავებამდე ხორციელდება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების შესწავლა. აღნიშნული გამოკითხვების ანალიზის შემდეგ ფაკულტეტი ადგენს პროგრამის ხელმძღვანელს და იწყება პროგრამაზე მუშაობის პროცესი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პროცედურებით. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც ადმინსტრაციული ერთეულები, ასევე სპეციალურად შექმნილი და დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი.. ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და თითოეული ეტაპის შედეგების გაზიარება ხდებოდა ელექტრონულად თუ სამუშაო შეხვედრებზე პირისპირ, თუმცა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე არ გამოიკვეთა სტუდენტების, კურსდამათავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა. მიუხედავად ამისა, ინტერვიუების დროს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ნაწილი ავლენდა ცოდნას განახლებული პროგრამის შესახებ და დაადასტურეს, რომ პროგრამის ძირითადი დოკუმენტის დასრულებული ვერსია, რომელიც აღწერს პროგრამის შინაარს, მათ გაეგზავნათ მეილის საშუალებთ. აღნიშნული გარემოებები დამატებით ადასტურებს, რომ დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ ჩართულები პროგრამის სამუშაო პროცესში, თუმცა დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის დასრულებული ვერსიის გაზიარება მათთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ დაწესებულება იყენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის შედეგებში ხდება კომპეტენციების თანაკვეთა. მაგალითად, სტუდენტს „აქვს მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების დანახვის, ანალიზის, შეფასების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების/ინიცირების უნარი“ და „ახდენს რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს, შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები“.

აქვე უსდ-ს მიერ გაწერილია პროგრამის თექვსმეტი შედეგი. მიზანშეწონილია სწავლის შედეგების გამსხვილება და უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება. სწავლის შედეგების ოპტიმიზაციისა და მათი მიღწევის შეფასების პროცესის მოქნილობისთვის შესაძლებელია გაერთიანდეს შემდეგი ორი სწავლის შედეგი: “უახლესი მიდგომების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას, აყალიბებს დასკვნებს და ახდენს კვლევის შედეგების ასახვას ნაშრომში” და “საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებს და კვლევის შედე-გე-ბს აკადემიური

ეთიკის სტან-დარტების და-ცვით წარუდგენს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას”

აქვე ავღნიშნავთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგი “იღებს პასუხისმგებლობას დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე” რთულად გაზომვადია. რთულია პროგრამის ფარგლებში მოხდეს აღნიშნული სწავლის შედეგის / პასუხისმგებლობის მიღწევის დაგეგმვა და შეფასება, რადგან თავად დებულება მოიაზრებს ორგანიზაციაში დასაქმებული და პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობას. პროგრამაში არ არის გათალისწინებული ისეთი სასწავლო კურსი, შეფასების კომპონენტი, რომლის ფარგელბშიც შეჯამდება და შეფასდება აღნიშნული კომეპტენცია.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს სწავლის შედეგების პროცესს, ინდიკატორებსა და შეფასების გეგმას.

სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მექნიზმი: ცალკეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი ვალდებულია შესაბამისი სემესტრის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს მიაწოდოს დეტალური სტატისტიკური მონაცემები (პირდაპირი მეთოდი). პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს ასევე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ინტერვიუს (არაპირდაპირი მეთოდი).

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, საგანმანა-თ-ლე-ბლო პროგრამის ხელმღვანელისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

ცალკეული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების კომპონენტებში სტუდენტთა 70% ღებულობს მაქსიმალური შეფასების 60%-ს და მეტს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომში - სტუდენტთა 90% მაინც - დამაკმაყოფილებელს და მეტს, მათგან 40% და მეტი - ძალიან კარგი/ფრიადი შეფასებებს.

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების ანალიზის შედეგად, ნეგატიური შეფასებების წილი არ უნდა იყოს 10% ზე მაღალი, სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების სამიზნე ნიშნულებთან შედარების შემდეგ, ზღვრულ ნორმებთან გადახრის 10% მაჩვენებელი, საფუძველია საკითხი შესწავლილი იქნეს დეტალურად და დაიგეგმოს სათანადო კომპონენტში ცვლილებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას დანართის სახით თან ახლავს ცხრილი სახელწოდებით “სამიზნე ნიშნულები”. აღნიშნულ ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაციის

შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ის არის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც აღწერს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობას და იმ შეფასების კომპონენტებს სასწავლო კურსების მითითებით, რომელთა ფარგლებშიც ჯამდება/მიიღწევა სწავლის შედეგების შესაბამისი სფერო. არნიშნულ რუკაში არ არის მითითებული, სწავლის შედეგების შესაბამის სფეროს მიკუთვნებული რომელი სწავლის შედეგის შეფასება ხდება მოცემული მექანიზმით. ბუნდოვანია, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით განხორციელებული შეფასების შედეგები რომელ სწავლის შედეგს გაზომავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუს შედეგები; ● უნივერსიტეტის ვებგვერდი; ● დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები: ● გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი. სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმი განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის; ● რეკომენდებულია, მოხდეს სწავლის შედეგების გამსხვილება, რაოდენობრივად შემცირდება. მკაფიოდ გაზომვადი სწავლის შედეგების შემუშავება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საერთო სამაგისტრო გამოცდას და სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდება ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად და სრულყოფილად წარმოადგენს ამ წესით დადგენილ დოკუმენტაციას. ბათუმის სახელმწიფო უნივერსტეტში მაგისტრატურაში ჩაბარების პროცესში ბარდება შიდა-საუნივერსიტეტო გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდე-ბლობით დადგენილი წესისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-მწიფო

უნივერსი-ტეტის აკა-დემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებით საფუძველზე. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საშუალებით მოწმდება სტუდენტების ინგლისური ენის ფლობის კომპეტენცია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს B2 დონეს. ამისათვის უნივერსიტეტი ატარებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას ინგლისურ ენაში. აგრეთვე ტარდება წერითი გამოცდა სპეციალობაში, რომელცს მოიცავს განათლების ადმინისტრირებაზე სწავლისათვის საბაზისო საკითხებს, რომელიც ხელს შეუწყობს მაგისტრანტს შემდგომ სწავლების პროცესში. განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან/და გარე მობილობის ფარგლებში, სა-ქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წე-სით. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა მსურველთათვის. ის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთა ინფორმირება ხდება ონლაინ-რეჟიმში უნივერსიტეის წარმომადგენლების და პროგრამაში ჩართული პირების ჩართულობით. დაწესებულება უზრუნველყოფს აპლიკანტთა შერჩევას ონლაინ რეჟიმში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. მაგისტრატურაში მიღების წესი; 2. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს მაგისტრატურასა და დოქტორან-ტუ-რაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესი; 3. საგანმანათლებლო პროგრამა; 4. დაწესებულების ვებგვერდი; 5. ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: 70 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის 5 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა), 20 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტი (10 კრედიტი - სპეციალობის არჩევითი და 10 კრედიტი - თავისუფალი არჩევითი), 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

აღსანიშნავია, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტიტეს მიერ იქნა გათვალისწინებული რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც 2020 წელს ექსპერტთა ვიზიტის შედეგად და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ იყო განსაზღვრული.

საგანამანათლებლო სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მიმართულია კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე და კარიერულ წინსვლაზე საშუალო და მაღალი რგოლის ხელმძღვანელის პოზიციაზე სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

საგანამანათლებლო პროგრამა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სამაგისტრო პროგრამაში „განათლების ადმინისტრიტრება“ უსდ-ს მიერ შეთავაზებულია თხუთმეტი სავალდებულო სასწვალო კურსი. თითოეული კურსი ხუთ კრედიტიანია. საგანმანათლებლო პროგრამაში 20 კრედიტი ეთმობა არჩევით სასწავლო კურსებს, მათ შორის 10 კრედიტი - სპეციალობის არჩევით და 10 კრედიტი - თავისუფალ არჩევით კურსებს. სტუდენტს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, შეუძლია თავისუფალი არჩევითი კურსებისთვის გამოყოფილი 10 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებიდან (საფეხურის გათვალისწინებით) ან 20-ივე კრედიტი გამოიყენოს სპეციალობის არჩევითი კურსებისთვის. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მინიჭებული კვალიფიკაცია - განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ერთიანობაში შესა-ბამისობაშია პროგრამის სტრუქტურასთან და კურსდამთავრებულს აძ-ლევს სხვადასხვა საფეხურისა და ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მმარ-თველ/ად-მი-ნის-ტრაციულ პოზიციაზე მუშაობის უფლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვი-თარების უზრუნველყოფის წესი; 2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგან-მა-ნათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით კურიკულუმის კომიტეტის შემად-გენ-ლო-ბისა და მუშაობის გეგმა; 3. დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი; 4. ინტერვიუ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან; 5. ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან; 6. ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; 7. ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სამაგისტრო პროგრამაში "განათლების ადმინისტრირება" აღწერილი შედეგები თანხვედრაშია სასწავლო კურსების შედეგებთან და ასახავს საგანმანათლებლო დაწესებულების მისიას და მიზნებს. სასწავლო კურსების სტრუქტურა თანმიმდევრულია და ლოგიკური. სასწავლო კურსების შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი სასწავლო კურსები გამომდინარეობს ერთმანეთისაგან, შინაარსობრივად თანმიმდევრულია და ორიენტირებულია დარ-გობრივი კომპეტენციებისა და თეორიული ცოდნის პრა-ქ-ტი-კაში გამოყენების უნარის გამომუშავბაზე.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგებსა და მათზე დაყრდნობით - პროგრამის ძირითად კომპონენტებს, ადგენს პროგრამის კომპონენტების სილაბუსების პროექტებს და შესაფასებლად გადასცემს კურიკულუმის კომიტეტს.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტიტის მიერ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები, რომელიც განესაზღვრა 2020 წელს. კერძოდ, სტუდენტების ცოდნის გაღრმავებისთვის და

პროგრამის შედეგების გაუმჯობესებისათვის, პროგრამა გამდიდრდა ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიც არის ხარისხის მართვა, მენეჯერული ეკონომიკა, ადამიანური რესურსების მართვა. ასევე, უსდ-მ გაითვალისწინა ექსპერტთა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია პროგრამის სამართლებრივი საკითხების გამდიდრების კუთხით. პროგრამას სპეციალობის სავალდებულო კურსებში დაემატა ხუთკრედიტიანი სასწავლო კურსი განათლების სფეროს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები.

ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტის დროს გამოირკვა, რომ ბსუ-ს კურიკულუმის კომიტეტი განიხილავს პროგრამებს, სილაბუსებს და ადგენს მათ შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე კი პროგრამა მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე. დადებითი დასკვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე კი პრო-გრამა მტკიცდება აკადემიურ საბჭოზე.

რეაკრედიტაციისათვის პროგრამის მომზადების პროცესში ბსუ-ს სამუშაო ჯგუფმა განიხილა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით შეიტანა მასში გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, დაემატა სასწავლო კურსები: „ორგანიზაციული მართვა და გადაწყვეტილებების მიღება“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ხარისხის მართვა განათლებაში“ და „მენეჯერული ეკონომიკა“.

სამაგისტრო პროგრამაში „განათლების ადმინისტრიტრება“ უსდ-ს მიერ შეთავაზებულია თხუთმეტი სავალდებულო სასწვალო კურსი. თითოეული კურსი ხუთ კრედიტიანია. იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტი, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა კონკრეტული კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად, საეჭვო ხდება, რომ თითეოული სასწავლო კურსისთვის გათვალისიწინებულია იდენტური მოცულობისა და სირთულის დავალებები. მითუმეტეს, თუ თავად კურსების სპეციფიკასაც გავითავლისწინებთ, საეჭვო ხდება მაგალითად, ისეთ სასწავლო კურსებს როგორიც არის პროფესიული პრაქტიკა და კვლევის მეთოდები იგივე მოცულობის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები ქონდეს დათმობილი, რაც განათლების ფსიქოლოგიას ან ლიდერობას განათლებაში.

ამავდროულად, პროგრამაში არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი განათლებაში, ცვლილებების მართვა განათლებაში, ინოვაციური მენეჯმნეტი განათლებაში, გუნდის მართვა, ანტიკრიზისული მართვა, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვებულ პირებს შესაძლოა არ ჰქონდეთ მენეჯმენტის კომპეტენციები, ზემოაღნიშნული საკითხები მნიშვნელოვნად გააღრმავებდა მაგისტრანტების ცოდნას და პროგრამაში გაცხადებულ შედეგებს მეღწევადს გახდის.

მნიშვნელოვნად გააძლიერებდა სამაგისტრო პროგრამას „განათლების ადმინისტრირება“ აკადემიური წერის კურსის განხორციელება. იქიდან გამომდინარე, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერა მოითხოვს განსაკუთრებულ კომპეტენციებს, ჩვევებს და უნარებს, მნიშვნელოვანია ამ უნარების გამომუშავება. ექსპერტთა ჯგუფის უსდ-ში ონლაინ-ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აღნიშნული კურსის შეთავაზებას ასევე საჭიროდ მიიჩნევენ.

აღსანიშნავია, რომ ზოგ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა თვრამეტ-ცხრამეტ წყაროს შეადგენს. ლოგიკურად მიგვაჩნია, თუ ლიტერატურის რაოდენობა გონივრული რაოდენობის იქნება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. საგანმანათლებლო პროგრამა;
2. სასწავლო კურსების სილაბუსები;
3. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. სასწავლო კურსების საკონტაქტო / არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა მოხდეს კურსის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე;
2. პროგრამა გამდიდრდეს ისეთი თემატიკით, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი განათლებაში ან/და ცვლილებების მენეჯმენტი ან/და ანტიკრიზისული მართვა, ინოვაციური მენეჯმენტი ან/და რისკ-მენეჯმენტი, აკადემიური წერა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, გააიხედოს კურსის ფარგელბში შეთავაზებული ლიტერატურის რაოდენობა და მოცულობა. თითოეული კურსისთვის სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა განისაზღვროს კურსის მოცულობის გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სხვადასხვა კომპონენტს სთავაზობს სტუდენტებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად, აღნიშნული უნარების გამომუშავების მიზნით, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული აქტივობა (პროექტები, სიტუაციური ამოცანები/სიტუაციური ანალიზი/კაზუსებზე მუშაობა, პრეზენტაცია, დისკუსია, რეფლექსია და სხვ.). პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსს აქვს დიდი მნიშვნელობა პრაქტიკული, სამეცნიერო, შემოქმედებითი, ტრანსფერული უნარების გამომუშავებისთვის. პროფესიული პრაქტიკა საშუალებას აძლევს სტუდენტს მოახდინოს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ტრანსფერი. პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსის განხორ-ცი-ე-ლებაში ჩარ-თული არიან სხვადასხვა საფეხუ-რი-სა და ტიპის

საგანმანათლებლო დაწესე-ბუ-ლებები, რომლებთანაც გა-ფორ-მებულია ურთიერთ-თანამ-შრომ-ლო-ბის მემორანდუმები. ამავდროულად სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ პროგრამა საჭიროებს პრაქტიკის კომპონენტის მეტად დამუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში თანდართულია თანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა საგანამანათლებლო დაწესებულებებთან, ამ ეტაპზე არ არსებობს პრაქტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნება პროფესიულ პრაქტიკაში ჩართული მხარეების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, პრაქტიკის დაგეგმვის და განხორციელების წესები, მენტორის ჩართულობის ხარისხს და სხვა. პროფესიული პრაქტიკის საკითხი იყო ასევე აღნიშნული 2020 წლის ექსპერტთა ჯგუფის და საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ. პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება დაეხმარება სტუდენტებს პროგრამის მიზნების მიღწევაში. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გასაუბრების შედეგად დაადასტურეს, რომ პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის გამსხვილება დადებითად აისახებოდა მათ უნარებზე. პროგრამით გათვალისწინებული კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, სტუდენტს საშუალებას აძლევს აწარმოოს კვლევები სხვადასხვა მეთოდის (დაკვირვება, ექსპერიმენტი, ინტერვიუ, ანკეტური გამოკითხვა და სხვ.) გამოყენებით, კვლევის შედეგები ასახოს სამაგისტრო ნაშრომში, მოხსენების სახით გაიტანოს პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენციებზე/გამოაქვეყნოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების კრებულში და ა. შ. სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ,,კვლევის მეთოდები“ და „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“ სტუდენტებს გამოუმუშავებს კვლევით უნარებს, ეხმარება მათ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებაში. კვლევითი უნარების გაღრმავების მიზნით სპეციალობის არჩევითი კურსების ჩამონათვალში გათვალისწინებულია ასევე სასწავლო კურსი ,,პრაქტიკის კვლევა“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სასწავლო კურსების სილაბუსები; 2. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; 3. საგანმანათლებლო პროგრამა; 4. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სასურველია, შემუშავდეს პრაქტიკის დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს პრაქტიკის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მექნიზმებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ფარგლებში გამოყენებული წავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტისთვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი თითოეული სალექციო თემა დაყოფილია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ნაწილად. სასემინარო ჯგუფში მუშაობა ორიენტირებულია ლექციაზე მიწოდებული მასალის გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზე. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე “განათლების ადმინისტრირება” გამოყენებული

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას, სტუდენტებისათვის შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექტორი თავად ირჩევს სწავლების მეთოდებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; პროგრამაში მოცემული სწავლება-სწავლის მეთოდები (დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობა, პრობლემაზე/კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციური ამოცანა/შემთხვევების შესწავლა, ტექსტზე/კაზუსებზე მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი (პრეზენტაცია/პოსტერი/პორტფოლიო), ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წერითი მუშაობა, პროექტი, პრაქტიკული მეთოდები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება, რეფ¬ლექსია, ტესტი, თვითშეფასება/ურთიერთშეფასება) დაკონკრეტებულია პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ჯგუფის სილაბუსების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ამავდროულად უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები რელევანტურია და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკასაც. აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების ფარგლებში დადგინდა, რომ ისინი სარგებლობენ უნივერსიტეტის მხარდაჭერით მათ პროფესიული უნარების სრულყოფისათვის. კერძოდ, ტარდება ტრენინგები სწავლა-სწავლება ახალი მეთოდების დანერგვისათვის. ლექტორებისთის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა კოვიდპანდემიის დროს ჩატარებული ტრენინგები დისტანციურ რეჟიმში სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პერსონალს აქვს მხარდაჭერა სასწავლო დაწესებულებისგან მიმდინარე პროფესიული განვითარების და ონლაინ სწვალების შესაბამის
მტკიცებულებები/ინდიკატორები 2. საგანმანათლებლო პროგრამა; 3. სასწავლო კურსების სილაბუსები; 4. ინტერვიუს შედეგები. 5. თვითშეფასება.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეფასების პროცესი რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით". შეფასების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება ხდება სწავლის დაწყებამდე საორიენტაციო შეხვედრებზე, რომელშიც ჩართულები არიან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. ცალკეულ კურსებში გათვალისწინებული შეფასების მეთოდები, კომპონენტები და ინსტრუმენტები განთავსებულია სილაბუსებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ლექტორები პირველი ლექციაზე აცნობენ სტუდენტებს

შეფასების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. სტუდენტები ინფორმირებულები არიან შეფასების გასაჩუვრების პროცედურების შესახებ და იხსენებენ კონრკეტულ შემთხვევებს.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, საიდანაც შუალე-დურ შეფასებას შეიძლება დაეთმოს მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა (შუალედური გამოცდა - 20, ხოლო მიმ-დი-ნა-რე შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა) და დასკვნით გამოცდას - მინიმუმ 40 ქულა. პროცესში ჩარ-თუ--ლობის ამაღლებისა და სწავლის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსი-ტეტში და--დგენილია შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: დასკვნი-თი შეფა-სე-ბების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 35% (60 ქულის შემთხვევაში - 21 ქულა), დასკვნი-თი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 50% (40 ქულის შემთხვევაში - 20 ქულა)

სტუდენტის შეფასება მოიცავს მიმდინარე შეფასებას, შუალედურ და დასკვნით გამო-ც-დებს. შუალედური შეფასება მოიცავს: მიმდინარე შეფასებებს, შუალედურ გამოც-დას და შეფასების სხვა სახის კომპონენტს, რომელიც უნდა შეირჩეს დარგის სპეციფიკის გა-თვა--ლი-ს-წი-ნებით.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადი დასკვნითი შეფასებით წინასწარ შერჩეული და დამტკიცებული კომისიის მიერ. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: კვლე-ვის/პრობლემის აქტუალობა; მიღებული შედეგების მეცნიერული და პრაქტიკული ღირე-ბუ-ლე-ბა; ნაშრომის აკადემიური დონე; პრეზენტაციის უნარი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს კვლევის მეთოდოლგია, შედეგების სანდობაა და ვალიდურობა. აქედან გამომდიანრე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს უნდა დაემატოს შესაბამისი კრიტერიუმები.

პლაგიატის აღმოსაჩენად დაწესებულება იყენებს სპეციალურ პროგრამას Turnitin. სასწავლო პროცესში (მიმდინარე, შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდების პე-რი-ო-დი) სტუ-დენტის მხრიდან პლაგიატის შემთხვევაში შესაბამისი პერსონალი (აკადე-მი-ური, სამეცნიერო ან/და მოწვეული) სტუდენტს უფორმებს შეფასებას ,,0“ და სამსა-ხურებ-რი-ვი ბარათით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს. დარგობრივი დეპარტამენტის მიერ სამა-გისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვის ან/და ნაშრომის რეცენზენტების მიერ ნაშრომის შეფა--სების ეტაპზე ეტაპზე პლაგიატის გამოვლინების შემთხვევაში ნაშრომი არ ფასდება და შესაბამისი გადაწყვეტილება წარედგინება ფაკულტეტის დეკანს შემდგომი რეაგირებისათვის, რომელიც სამსახურებრივი ბარათის/დასკვნის მიღების შემთხვევაში ახორციელებს ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ ღონისძიებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი; ● სამაგისტრო ნაშრომები; ● სასწავლო კურსების სილაბუსები; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. დაემატოს კვლევის მეთოდოლოგიის, კვლევის შედეგების სანდოობისა და ვალიდობის შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ და ინტერვიუებზე დაყრდნობით დადგინდა,რომ აღნიშნული სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის კერძოდ, განათლების ადმინისტრირების სტუდენტები და კურსდამთავრებულები. უშუალოდ პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში მათი მხრიდან არანაირი ჩართულობა არ დაფიქსირებულა, შესაბამისად ინტერვიუები წარიმართა ზოგადად უნივერსიტეტში არსებული გარემოს შეფასების მიზნით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრიორიტეტია სტუდენტების უზრუნველყოფა ხარისხიანი და უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული განათლებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემოქმედებითი და სპორტული წრეები, ყოველწლიურად ტარდება კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის კონფერენციები, ხდება სტაჟირების პროგრამების მოძიება და მათში სტუდენტების ჩართვა. ბსუ-ს წესდების [1], შინაგანაწესის [2], „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“ მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტს გაუწიოს კონსულტაცია სასწავლო კურსის შინაარსთან დაკავშირებით, ხოლო ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტისა და პროგრამის ხელმძღვანელები, კურატორი, დეკანის ოფისისა და

დეპარტამენტის სპეციალისტი კი კონსულტაციას უწევს საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე; ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია დადასტურდა ინტერვიუერებთან საუბრის შედეგად. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავდნენ, რომ ინფორომაციის მიღება, გაცვლა, შესაბამის პირებთან დაკავშირება მათთვის არასდროს ყოფილა პრობლემა და პირიქით ყოველთვის სწრაფად რეაგირებდა შესაბამისი სამსახურები. ინტერვიუერებს შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ადგილობრივ კონფერენციებში და დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამ მიმართულებით. სტუდენტთა მხარდაჭერას, ფაკულტეტთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი [3] კონსულტაციებისა და სტუდენტური პორტალის - https://portal.bsu.edu.ge/-ს [4], ელ. ჟურნალის http://spm.bsu.edu.ge/-ს [5], უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სხვა სოციალური ქსელების საშუალებით [6]. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბრისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტი მათ ნამდვილად აძლევს უამრავ შესაძლებლობას კურიკულუმის გარეშე აქტივობებში მიიღონ მონაწილეობა. თუმცა, ის ფაქტი რომ არცერთი სტუდენტი და კურსდამთავრებული არ ყოფილა ჩართული პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში, პროგრამის უარყოფით მხარედ შეიძლება დასახელდეს. ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებისადმი კეთილგანწყობილი გარემო და ძალიან კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის სერვისებითა და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. გამოკითხვის შედეგები 2. უნივერსიტეტის წესდება; 3. უნივერსიტეტის შინაგანაწესი; 4. სტუდენტთა კარიერული განვითარების, კუ¬ლ¬ტუ¬რისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება; 5. ბსუ-ს სტუდენტური პორტალი https://portal.bsu.edu.ge ;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

- **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სტუდენტის აკადემიური დატვირთვა, დარეგისტრირებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ლექციებზე დასწრებასთან, სამუშაო ჯგუფში მუშაობასთან, პრაქტიკულ მეცადინეობებთან, პრაქტიკასა და დამოუკიდებელ მეცადინეობასთან ერთად, ითვალისწინებს სამეცნიერო მუშაობასაც. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გულისხმობს მაგისტრანტის მიერ ჩატარებულ დამოუკიდებელ კვლევას, რომლის შედეგებიც აისახება სამაგისტრო ნაშრომში.

მტკიცებულებად წარმოდგენილი მოწვეული და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების, მათთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის კვალიფიციური სფეროში, მათ აქვთ შესაბამისი თეორიული ცოდნა და გამოცდილება დარგში, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ მათ შესწევთ უნარი გაუწიონ ხელმძღვანელობა სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომების წერის პროცესში.სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს ენიშნება ხელმძღვანელი. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს

2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად [1] სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პრო-ფესორი/ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი/სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესა¬ბა¬მისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით. სამაგისტრო თემის არჩევა ხდება მაგისტრანტის ინტერესების შესაბამისად, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებითა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით [2]. სამაგისტრო ნაშრომის თემასა და ხელმძღვანელს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით.სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადასტურდა კონსულტაციის, წინარე შეხვედრებისა და თემის შერჩევის პროცედურული საკითხები. ასევე, მათ აღნიშნეს რომ ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ ყველა საჭირო რესურსით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV (ბსუ-ს ვებგვერდი);
3. უნივერისტეტის ვებგვერდი;
4. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
5. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ სწავლის შე-დე--გების მისაღ-წევად, უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან პროგრამაში ჩართუ-ლია შესაბამისი კვალი-ფი-კაციის მქონე 21 პირი. მათგან:

- 2 პროფესორი,
- 9 ასოცირებული პროფესორი,
- 2 ასისტენტ პროფესორი,
- 1 ასისტენტი
- 7 მოწვე-ული პერსონალი (მათ შორის - 3 პროფესორი).

აკადემიური პერსონალის თანა-ფარ-დობა მოწვე-ული პერსონალის რაოდენობასთან შეადგენს 14/7-ს.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული პროექტებით.

ბსუ-ში აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის ფუნქციები დამტკიცებულია ფაკულტეტის დებულებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვისა და ჯგუ-ფე--ბში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი რეგულირდება აკადემიური საბ-ჭოს დადგენილებით, რომელიც შემდეგ მტკიცდება წარმომადგენლობით საბჭოზე.

პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმა-ყოფილებს განა-თლების ად-მინის-ტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელ-მძ-ღვა-ნელი-სადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მას, აღნიშნული პროგრამის ხელმ-ძღვა-ნელობის გარდა, აქვს „დაწყებითი განა-თ-ლე-ბის“ საბაკალავრო (2008 წლიდან) და „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მას-წავ--ლე-ბლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ-რა--მის“ (2018 წლიდან) ხელმძღვანელობის გამოცდილება. აგრეთვე, საერთაშორისო პროექტების (Tempus, Erasmus+, USAID) (4 დასრულებული და 3 მიმდინარე) და სეზონური სკოლების („განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულო სკოლა, სეზონური სკოლა „სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების განვითარება“) ხელმძღვანელობის გამოცდილება, არის სერტიფიცირებული მასწავ-ლებელი და მოქმედი ტრენერი (ფლობს მასწავ-ლე-ბელთა პროფესიული განვითარების ეროვ-ნუ-ლი ცენტრის ტრენერთა სკოლის ტრენერის სერ-ტიფიკატს, არის ,,აღმზრდელ-პედა-გო-გ-თა პროფე-სიული გან-ვითა-რების ტრენინგ-მოდულის“ ტრენერი).

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის მიხედვით.

პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. მათი ფუნქციები გაწერილია შესაბამისი დებულებით.

უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებას ახორციელებს შე-საბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. იგი ითვალისწინებს: თანამშრომლის თვითშეფასებას, სტრუქტურული ერთეულის

დებუ-ლე-ბას, დასაქმებულის სამუშაო აღწერილობას და ბსუ-ს პერსონალის მართვის განხორციელების წესის შეფასების კომპონენტებს. შეფასების ანალიზის საფუძველზე რექ-ტო-რ-თან/ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფ-რო-სთან (მა-თი უფლებამოსილების ფარგლებში) და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხე-ლმ-ძღვა-ნელთან ერთად იგეგმება გასატარებელი ღონისძიებები როგორც აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად მონაწილეობს პროფესიული განვიატრების სხვა და სხვა აქტიოვბებში, მათი პირდაპი საქმეები და ინტერვიუს შედეგები ადასტურებს, რომ პერიოდულად ცართულები არიან სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში. პროგრამის ფარგლებში შერჩეული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, პრაქტიკული და სამეცნიერო საქმიანობა შესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი; ● ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დებულება; ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ● სამეც-ნი-ერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი; ● პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ები;; ● პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ● აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი; ● საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის CV; ● ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; ● აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადე-მიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი; ● აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი; ● ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ორიენ-ტი-რე-ბუ---ლია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ბსუ-ს აკადემიურ საბჭოს დამტკი-ცე-ბუ-ლი აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. აგრეთვე, შემუშავებულია ბსუ-ს აკადემიური და მოწვე-ული პერ-სო--ნა-ლის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშა-ო-ბის შე--ფა-სების წე-სი. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერ-სო--ნა-ლის შერჩევის წესში.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები. აგრეთვე, დადგენილია შეფა-სე-ბის შედეგების ანალიზისა და წახალისების მე-ქა-ნიზმები.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ განხორ-ციელებაში ჩართული 21 პერსონალიდან 14 ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური თანამდე-ბო-ბის პირია, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებენ ნაშრომებს ადგილობრივ და საერთა-შო-რი-სო გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სემი-ნარებში, ტრენინგებსა და პროექტებში, რაც დასტურდება პროგრამაში ჩართული აკა-დე-მი-ური პერსონალის CV-ებით.

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის„ განათ-ლების ადმინისტრირება“ პერსონალის მონაწილეობით, მიმდინარე პერიოდში, ხორციელდება 5 საერთაშორისო პროექტი.

საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით, უნივერ-სი-ტე-ტმა მიიღო ენობრივი კომპეტენციის ამაღლებაში პროფესორ-მასწავლებ-ლებისათვის ხელ-შეწ-ყობის გადაწყვეტილება, რისთვისაც, თანადაფინანსების პრინციპით, 2018 წლის იანვრიდან აამო-ქ--მედა, და დღემდე გრძელდება, ინგლისური ენის სერტიფიცირებული კურსები.

ინტერვიუებიდან დგინდება, რომ უნივერსიტეტებში აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები (მატერიალური, ფინანსური რესურსები, და სხვა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- სამეც-ნი-ერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- სამეცნიერო კვლევის პოლიტიკა;
- საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართული პერსონალის ხელშეკრულებები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV-ები;
- თვითშეფასება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესუ-რსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათ-ლებლო პრო--გრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პრო-ცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორა-ტო-რიები, ინ-ტერ--ნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სპორტული ბაზები და საკონ-ფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონა-ლის-თვის.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ განსახორციელებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა ხდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ასევე ფაკულტეტზე მოქმედი Erasmus+-ის საგრანტო პროექტების ფარგლებში.

ბსუ საგანმანათ-ლებლო პრო-გრამების განხორციელებას უზ-რუ-ნ-ველყოფს საუნივერსიტეტო ბიბლი-ო-თეკითა და ელექტ-რო-ნული საბიბლიოთეკო რესურსებით, რომელიც სტუდენტებსა და პერსონალს აძლევს საერთაშორისო ბაზებთან წვდომის შესაძლებლობას :

- **EBSCO Publishing** (http://search.epnet.com)
- **Cambridge University Press** (http://journals.cambridge.org)
- **Royal Society Journals Collection** (http://royalsocietypublishing.org)
- **BioOne** (http://www.bioone.org)

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ჩართულია კონსორციუმში „ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის -eIFL”, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს ისარგებლოს სხვადასხვა ელექტრონული რესურსებით.

ბსუ-ს ბიბლიოთეკაში განთავსებული სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლი-ტერატურა და ელექტრონული რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პრო-გრა-მის სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულება უზრუნველყოფს ბეჭდური რესურსების გაციფრულებასა და ხელმისაწვდომობას. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ პანდემიის პერიოდში რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტმა უზრუნველყო სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის გაციფრულება, თუმცა ბუნდოვანი დარჩა, როგორ არეგულირებს დაწესებულება საავტორო უფლებების საკითხს. ბიბლიოთეკას არ აქვს შემუშავებული საავტორო უფლებების დაცვის მექნიზმები

სასწავლო კორპუსები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის და ცე-ნ-ტ-რა-ლიზებული გათბობის მიწოდების უწყვეტი სისტემით. სასწავლო კორპუსებში მოწყო-ბი-ლია ადაპტირებული სველი წერტილები და ელექტრონული პანდუსები.

უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კორპუსებში განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო წყალ-სა---დენი სახანძრო ონკანები, მითითებულია შესაბამისი ტელეფონის ნომრები, გამოკრულია ევა-კუაციის გე-გმა. უნივერ-სიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი.

სტუდენტები ინფორმი-რებუ-ლი არი-ან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უზ-რუნ-ველყოფს პრაქტიკის ბაზით, რისთვისაც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორ-ტის სა-მი-ნისტროსთან, რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის რესურ-ს-ცენტრთან, საჯარო და კერძო სკო-ლებთან და პროფესიულ კოლეჯთან გაფორმებული აქვს ურთიერთ-თანა-მ-შრომ-ლო-ბის მემორანდუმი. სასწავლო რესურსებისა და სერვისების შეფასებაზე პასუ--ხის-მგებელია მატერიალური რესურ-სე-ბის მართვის დეპარტამენტი, პროფესიული პროგ-რამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცე-ნ--ტრი, ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლე-ვე-ბის სამსახური და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლე-ვითი ინსტიტუტები, ისინი ხარის-ხის უზრუნ-ვე-ლყოფის სამსახურთან ერთად, შეიმუ-შა-ვებენ რეკომენდაციებს და უზრუნვეყოფენ მათ აღსრულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● თვითშეფასება; ● ბიბლიოთეკის დათვლიერება დისტანციურად; ● ინტერვიუს შედეგები ● ბსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტონული კატალოგი: http://library.bsu.edu.ge/; ● ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; ● ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს დაფინანსების ოთხ ძირითადი წყარო. ესენია:

1. სწავლის საფასური;
2. სახელმწიფო სასწავლო გრანტი;
3. გრანტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი;
4. სამეცნიერო გრანტები.

ასევე, მისი შემოსავლის წყაროებს წარმოადგენს: საგამომცემლო საქმიანობა, საერთო საცხოვრებლის ქირა და სხვა.

უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრა-მების ფი-ნან-სური უზრუნ-ველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შე-მო-სავლებისა და გასავლების-ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწი-ლ-ში გათვა-ლის-წინე-ბულია: შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნ-ველსა-ყო-ფად კომ-პი-უ-ტე-რუ-ლი ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახ-ვისა და კო--მუნა-ლური -ხარ-ჯები. ფაკულტეტზე მოქმედი საერთაშორისო საგრანტო პროექტების ფარგ-ლებ-ში შეძე-ნილი ტექ-ნიკური აღჭურ-ვი-ლობით მოხდა მატერი-ა-ლურ-ტექნიკური ბაზის ნა-წი--ლობ-რი-ვ შევსება. კვლე-ვითი კომპონენტი ფინანსდება ფაკულტეტის მიერ.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ ყოველწიურად მისაღები კონტი-გენ-ტია არაუმეტეს 30 სტუდენტი.

პრო-გრა-მის ბი-უ-ჯეტის თანახ-მად, პრო-გ-რა-მის ბიუჯეტი ფარავს პროგ-რა-მის ხარჯებს, კერძოდ, შემოსავლების 50% წარმოადგენს სახელფასო ხარჯს, 40% - ზედნადებ ხარჯებს, 10% კი - მოგებას. უნივერსიტეტს აქვს შემოსავლების დივერსიფიცირებული წყაროები, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს უსდ-ს ფინანსურ მდგრადობას, ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. პროგრამას მტიკცებულების სახით ახლავს უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტი. სასურველი იქნებოდა, დაწესებულებას შეემუშავებინა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი, სადაც დეტალურად იქნებოდა წარმოდგენილი პროგრამის ხარჯები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის - „განათლების ადმინისტრირება“ - თვითშეფასება; o ბსუ-ს ბიუჯეტი (2018-2021); o ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილება „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ (დადასტურება №20); ● ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 31 აგვისტოს №01-10/74 ბრძანება ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანა-თ-ლე-ბ-ლო პროგრამის ,,განათლების ადმინისტრირების“ ბიუჯეტის (პირველადი ხარჯთაღრიცხვის) დამტკიცების შესახებ“; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დაწესებულბამ შეიმუშაოს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში სწავლა-სწავლების, კვლევის პროცესისა და სხვა საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისა თუ განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება არა მარტო საკუთრივ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებსა და ნორმატიულ აქტებს, არამედ უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გამოცდილებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობისას ხელმძღვანელობს ისეთი დოკუმენტებით როგორიცაა: უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG); საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ"; საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ"; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები; უნივერსიტეტის წესდება; მისია; სტრატეგიული განვითარების გეგმა; სამოქმედო გეგმა; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების; შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტები.

უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" პრინციპით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის თანამონაწილეობას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავებისა და შეფასების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების პროცესს ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი, ხოლო შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფს სამსახური. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განახლების პირველ ეტაპზე, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ, დეტალურად იქნა შესწავლილი წინა აკრედიტაციისას მიღებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნული მიზნით მოეწყო სამუშაო შეხვედრები აკადემიური, მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ჩართულობით.

თვითშეფასების ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტებით ირკვევა, რომ უნივერსიტეტში სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების რეგულარული გამოკითხვები მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების მიზნით. გარდა აღნიშნულისა, გამოკითხვები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებას, სისტემური სახე აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების, განმახორციელებელი პირების (პროფესორ-მასწავლებლების) მუშაობის ეფექტიანობის შეფასებასა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუირების პროცესში ნაკლებად გამოიკვეთა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების აქტიური ჩართულობა. მართალია, მათ მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებში, თუმცაღა, უკუკავშირის ეს ფორმა შესაძლებელია არ იყოს ისეთი ეფექტური, როგორც მათი უშაუალო

ჩართულობა პროგრამის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. სასურველია, პროგრამის მოდიფიცირებისა და განახლების ყველა ეტაპზე, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა და შეხედულებების გაზიარება, არა მხოლოდ გამოკითხვებში მონაწილეობით, არამედ პროგრამის სამუშაო ჯგუფში მუშაობით.

პროგრამას მტკიცებულების სახით თან ახლავს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. პროგრამის მიზნები, როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული (ეს ასევე უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროსაც აღინიშნა) ეფუძნება აღნიშნული გამოკითხვის შედეგებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული გამოკითხვების ფარგლებში შეგროვებული ინფორმაცია და დასმული კითხვები ეხმიანება ძირითადად ზოგად კომპეტენციებს - კომუნიკაციის, პრეზენტაციის, ადაპტაციის, გუნდური მუშაობის კომპეტენციებს. სასურველი იქნებოდა კვლევაში მონაწილე პირებისთვის დასმულიყო კითხვები პროგრამის მიზნებთან მიმართებით სპეციფიურ კომპეტენციებთან დაკავშირებით, რაც ზოგად კომპეტენციებთან ერთად გამოკვეთდა პროგრამის სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე გამოყენებულია ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული პერიოდული გამოკითხვის შედეგები. აღნიშნული პერიოდული კვლევების დროს გამოყენებული ინსტრუმენტები ნაკლებად ეხმიანება კონკრეტული პროგრამის სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნებოდა პროგრამის შემუშავებამდე ამავე პროგრამის სამუშო ჯგუფის ორიგრანიზებით ჩატარებულიყო კვლევა ბაზრის უახლესი ტენდენციების შესწავლისა და დამსაქმებელთა საჭიროებების დადგენის მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, კერძოდ კი რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა თავმოყრას, ანალიზს, ინფორმაციის გაზიარებას და სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცესის გამარტივებას, ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ელექტრონული პორტალი, რომელიც მისი ფუნქციებითა და შესაძლებლობებით შეგვიძლია მივიჩნიოთ საუკეთესო პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითად. ელექტრონული პორტალი უნიკალურია იმ მხრივაც, რომ ის საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და რეგიონში არსებულ დამსაქმებელ ორგანიზაციებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაამყარონ კომუნიკაცია, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყოს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის დამსაქმებელთა უნივერსიტეტით დაინტერესებისა და მასთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივას. პორტალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალებას აძლევს ადვილად მოიპოვოს და დაამუშავოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, დასაქმების სტატისტიკა, გამოკითხვის შედეგები და სხვ.), ასევე, მიიღოს პირდაპირი უკუკავშირი სტუდენტისგან, რაც საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობებს იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
4. აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
5. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
6. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანგარიში;
7. დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი;
8. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- პროგრამის რეაკრედიტაციის ეტაპზე განხორციელდეს უშუალოდ შესაბამიის პროგრამის კვლევები, რომელიც დაადგენს შრომის ბაზრის უახლეს ტენდენციებს და გამოკვეთს პროგრამის შემუშავების საჭიროებას, სპეციფიურ შინაარსობრივ ასპექტებსა და საჭიროებებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი, პროგრამის მოდიფიცირებისა და განახლების ყველა ეტაპზე, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისა და კულსდამთავრებულების ჩართულობა და მათი შეხედულებების გაზიარება, არა მხოლოდ გამოკითხვებში მონაწილეობით, არამედ პროგრამის სამუშაო პროცესში უშუალო ჩართულობით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიმართულებით დანერგილია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესების ფარგლებში მიღებული შეფასებების, რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების პრაქტიკა. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირებისა პროცესში პროგრამის ხელმძღვანელისა და დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებული იქნა წინა აკრედიტაციის ვიზიტით მიღებული რეკომენდაციები და რჩევების გარკვეული ნაწილი (იხ. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N54, 26/03/2020). პროგრამის თვითშეფასებით და თანდართული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების გარდა, მოაზრებულია დამსაქმებლებისა და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხა, რა დროსაც ფასდება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და განხორციელების ადეკვატურობა, პროგრამის კურიკულუმი, სწავლის და სწავლების მეთოდები, კურსდამთავრებულთა კომპეტენციები და სხვ. წარმოდგენილი სააკრედიტაციო პაკეტითა და შერჩეულ დამსაქმებლებთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებული იქნა მათი რეკომენდაციები და რჩევები. სახელდობრ: შეფასდა კურსდამთავრებულთა კომპეტენციები; გადაიხედა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები; განახლდა პროგრამის კურიკულუმი, რომელსაც დამსაქმებლების მოთხოვნისამებრ დაემატა არჩევითი კურსების სახით ,,პრაქტიკის კვლევა“ ,,პროექტების მართვა“, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა“ და ,,სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა“. დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსები: „ორგანიზაციული მართვა და გადაწყვეტილებების მიღება“, „ადამიანური რესურსების მართვა“, „ხარისხის მართვა განათლებაში“ და „მენეჯერული ეკონომიკა“. დაწესებულებამ უზურნველყო დაინტერესებული მხარეების ინფორმირება პროგრამის შესახებ. განახლდა პრაქტიკის სილაბუსი, სადაც დეტალურად გაიწერა მენტორის მოვალეობები და შეფასების

პროცესში მისი როლი. მოხდა კურსების თემატიკი გადახედვა, რომლის საფუძველზეც შემცირდა გარკვეული კურსების თემატიკა.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტის მიერ გარე შეფასებების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად განსაზღვრულია მრავალწლიანი თანამშრომლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ამავე მიმართულების აკადემიურ პერსონალთან, რაც ძირითადად გამოიხატებოდა პროგრამის განხორციელებაში მათი ჩართულობითა და თანამშრომლობის ფარგლებში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით.

უნივერსიტეტში არსებული ხარისხის გარე შეფასების მექანიზმების გამრავალფეროვნების მიზნით, ურიგო არ იქნება ისეთი აქტივობების განხორციელება, როგორიცაა კოლეგიალური შეფასება ადგილობრივი და საზღვარგარეთის ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალისა თუ ექსპერტების მიერ. მიგვაჩნია, აღნიშნული ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ საგანმანთლებლო ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აქტივობის განხორციელების მიმართულებით მზაობა აქვს როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ისე პროგრამის ხელმძღვანელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
2. საგანმანათლებლო პროგრამა;
3. დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N54, 26/03/2020;
5. თვითშეფასების ანგარიში;
6. ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია განხორციელდეს პროგრამის კოლეგიალური შეფასება ადგილობრივი და საზღვარგარეთის ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალისა თუ ექსპერტების მიერ, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად დაახლოებას, ხოლო მეორე მხრივ, მისი კონკურენტუნარიანობის ზრდას ადგილობრივ საგანმანთლებლო ბაზარზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს ხელმძღვანელობს ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შემდგომში კი მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესებში.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვი-თარების მი---ზ-ნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პრო-ცესის მო-ნი---ტო-რინგს, რაც გულისხმობს სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოც--დო მასა-ლე-ბის შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, სტუდენტთა

აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების დადგენასა და ანალიზს, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებას და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების განხორციელებას ამარტივებს უნივერსიტეტში 2017 წლიდან შემუშავებული სტუ-დენ-ტუ-რი პორტალი - სტუ-დენტთა გამოკითხვებისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონუ-ლი სისტემა. სასწავლო პროცესის შე-ფა-სე-ბის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აღნიშნული პორტალის გამოყენებით ყოველწიურად ტარდება სტუ------დენტთა გამოკითხვები, რა დროსაც სტუდენტთა მიერ ფასდება სასწავლო კურსის შინაარსი, ადამიანური და მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები. სტუდენტური პორტალი საშუალებას იძლევა სტუდენ-ტთა გამო-კი-თხვ-ები-სა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძ-ველზე დადგინდეს სა-განმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენ-ციების მიღ-წე-ვის დონე და დაისახოს შემდგომი გაუმჯობესების გზები და საჭიროებები.

მონიტორინგის პროცესი პროგრამის განმახორციელებლებმა გამოიყენეს კურიკულუმის განვითარების მიზნით. კერძოდ კი განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები. ამ უკანასკნელთა რომელთა რაოდენობა შემცირდა 15-მდე;
- სილაბუსებში გათვალისწინებულ იქნა სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- განახლდა სასწავლო კურსების თემატიკა;
- კურიკულუმს დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები ,,პრაქტიკის კვლევა“ ,,პროექტების მართვა“, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა“ და ,,სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა“;
- გათვალისიწნებულ იქნა წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და რჩევების გარკვეული ნაწილი.

უსდ-ს მიერ მოწოდებული მასალებისა და ინტერვიუების შედეგად დაადასტურა ის ცვლილებები, რაც განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
2. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
3. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებები;

4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი 5. თვითშეფასების ანგარიში; 6. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა განათლების ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქრისტინე ჩიხლაძი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ზარნაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჩიკვაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა სოფიკო შარაბიძე